საქართველოს მთავრობის

დადგენილება №375

2019 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

„ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2016, 340170000.10.003.019084) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 3.** დაევალოს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ განხორციელება, ხოლო სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს კი – ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“:

ა) მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) **სარეაბილიტაციო სამუშაოები** – ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელსაც შეიმუშავებს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად;“;

ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის:

ბ.ა) „ბ.ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს შენობის ექსპლუატაციაში მიღების აქტის წარდგენა ან არანაკლებ 70 კვ. მ შენობა-ნაგებობის შეძენა, სადაც მოეწყობა ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმო;“;

გ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის:

გ.ა) „ბ.ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს შენობის ექსპლუატაციაში მიღების აქტის წარდგენა ან არანაკლებ 70 კვ. მ შენობა-ნაგებობის შეძენა, სადაც მოეწყობა ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმო;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს პროგრამის იმ ბენეფიციარებზე, რომლებთანაც გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**